2023

საქართველოს პროკურატურის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი

Humanrights@pog.gov.ge

საქართველოს პროკურატურის ანგარიში
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების
დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე
2023 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის ანგარიშს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის" შესრულების თაობაზე.

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, შშმ პირთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი მისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების უფლებების დაცვას.

2023 წლის 9-10 მარტს, ქ. ჟენევაში, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის 28-ე სესიაზე, შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი პირველი ანგარიშის განხილვა გაიმართა, რომელზეც კომიტეტის მხრიდან დადებითად შეფასდა ქვეყნის მიერ განხორციელებული რეფორმები.

2023 წელს საქართველოს პროკურატურამ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა უფლებების დაცვის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მოამზადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დამტკიცდა საქართელოს გენერალური პროკურორის ბრძანებით.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგის შედეგები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საბჭოსა და შშმ თემის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გამოთქმული რელევანტური შენიშვნები და მოსაზრებები. სამოქმედო გეგმის ძირითად მიზნებს შშმ პირთა, მათ შორის შშმ არასრულწლოვანთა და ქალთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაზრდა, შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისგან და დისკრიმინიციისგან დაცვა, ასევე შშმ პირთა, მათ შორის, ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება წარმოადგენს.

საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის აღსრულებას მონიტორინგი გაუწია საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა. ამასთან, დეპარტამენტი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე ანგარიშგებას ახდენს საქართველოს გენერალური პროკურორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილის სახით.

საქართველოს პროკურატურის ანგარიში შშმ პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე		
მიზანი 1.	**შშმ პირთა, მათ შორის შშმ არასრულწლოვანთა და შშმ ქალთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაზრდა**	
ამოცანა 1.1.	**შშმ პირების უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით პროცედურული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში**	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022) საქართველოს პროკურატურაში გამოიყენება სახელმძღვანელო მითითებები „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან/და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ და „არასრულწლოვან შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან/და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“.	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)** სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც მონაწილეობენ შშმ მოწმე, დაზარალებული და ბრალდებული პროკურორების და გამომძიებლების მხრიდან სახელმძღვანელო მითითებების გამოყენების მაჩვენებელი გაზრდილია.
	2022 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით ისარგებლა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე 30-მა შშმ პირმა, მათ შორის 21-მა შშმ ქალმა.	სისხლის სამართლის საქმეებში მონაწილე შშმ პირების, მათ შორის შშმ ქალთა მიერ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი გაზრდილია 10%-ით.
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2023 წელს შშმ მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში, პროკურორების და გამომძიებლების მიერ გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა.[1]	

[1] https://pog.gov.ge/uploads/290e9861-PWD-2023-qarTuli.pdf
https://pog.gov.ge/uploads/2487089e-PWD-2023-English.pdf

<table>
<tr><td></td><td colspan="4">2023 წელს, სისხლის სამართლის საქმეებში მონაწილე შშმ პირების, მათ შორის შშმ ქალთა მიერ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი გაზრდილია 10%-ით.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.1.</td><td colspan="4">„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი</td></tr>
<tr><td rowspan="4"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგის ანგარიში გამოცემულია.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2023 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში სწავლობდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს და მონიტორინგს უწევდა პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას. მონიტორინგის საფუძველზე შემუშავდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი. შესწავლილია შშმ დაზარალებულთა მონაწილეობით არსებული 106 სისხლის სამართლის საქმე და გაანალიზებულია საპროცესო დოკუმენტები. მონიტორინგის ასპექტები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: შშმ დაზარალებულის შეზღუდვისა და სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირება და გათვალისწინება; პროცედურული მისადაგების პრინციპის დაცვა; შშმ პირის მიმართ ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. გაანალიზდა ოჯახური დანაშაული, შშმ პირთა მიმართ ჩადენილი სხვადასხვა ტიპის ძალადობის შემთხვევები, გაუფრთხილებლობით ჩადენილი და ეკონომიკური დანაშაულები, დაზარალებულთა და ბრალდებულთა ტერიტორიული განფენილობა, სქესი, ასაკი, სოციალური კავშირი, შესაძლებლობის შეზღუდვის სახეები, შეუწყნარებლობის მოტივი და სხვ. მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა 2023 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რომელიც</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4">შეიცავს ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე ასახავს საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმებს შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[2]</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.2.</td><td colspan="4">„შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
„შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგის ანგარიში გამოცემულია</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2023 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა არასრულწლოვან შშმ დაზარალებულთა და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ამოწმებდა პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას. მონიტორინგის საფუძველზე შემუშავდა ანალიზი. შესწავლილია არასრულწლოვან შშმ დაზარალებულთა და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული 22 სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც იდენტიფიცირდა 17 შშმ არასრულწლოვანი დაზარალებული და 5 შშმ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. გაანალიზდა საპროცესო დოკუმენტები; შშმ არასრულწლოვანთა შეზღუდვის სახე და მათი სპეციალური</td></tr>
</table>

[2] https://pog.gov.ge/uploads/290e9861-PWD-2023-qarTuli.pdf
https://pog.gov.ge/uploads/2487089e-PWD-2023-English.pdf

<table>
<tr><td></td><td colspan="4">საჭიროებები, შემოწმდა პროცედურული მისადაგების დაცვის სტანდარტი, შშმ არასრულწლოვანთა მიმართ და კანონთა კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი რეაგირება. გაანალიზდა ოჯახური და სქესობრივი დანაშაული, ასევე სხვა კატეგორიის დანაშაულები. გარდა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემებისა, ანალიზი მოიცავს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ტენდენციებსა და გამოწვევებს და საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმებს შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი რეაგირების, პროცედურული მისადაგებისა და შშმ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხებზე. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[3]</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.3.</td><td colspan="4">შშმ პირების, მათ შორის შშმ ქალთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის გაზრდით, შშმ პირთა რე-ტრავმატიზაციის პრევენციის ხელშეწყობა</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
გაზრდილია შშმ პირთა, მათ შორის შშმ ქალთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მონაწილეობისა და შშმ პირების მხრიდან კოორდინატორის სამსახურით სარგებლობის მაჩვენებელი</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2023 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით ისარგებლა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე 33-მა შშმ პირმა, მათ შორის 28-მა შშმ ქალმა. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის მონაცემთან შედარებით (30 პირი) გაზრდილია 10%-ით.</td></tr>
</table>

[3] https://pog.gov.ge/uploads/bfc62594-PWD-children-qarTuli-2023.pdf
https://pog.gov.ge/uploads/aa22e045-PWD-children-English-2023.pdf

<table>
<tr><td>ამოცანა 1.2.</td><td colspan="4">შშმ პირების უფლებებზე, მათ შორის შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022)

საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის თემაზე, შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების თემაზე ჩატარებული 15 ტრენინგის შედეგად, გადამზადებულია 314 თანამშრომელი.</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)

შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია მინიმუმ 10%-ით</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურაში შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება გრძელდება. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. 2023 წელს შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა გაზრდილია 53%-ით, ხოლო გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია 40%-ით.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.1.</td><td colspan="4">შშმ პირების, მათ შორის, შშმ ქალების უფლებებზე და შშმ პირებთან კომუნიკაციის თემაზე პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის/ მენეჯერებისთვის/ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის 2 ტრენინგის ჩატარება</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებულია 2 ტრენინგი, სულ მცირე 30 თანამშრომლის მონაწილეობით</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
</table>

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**
ინფორმაცია შესრულების შესახებ	საქართველოს პროკურატურაში შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება გრძელდება. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. კერძოდ, 2023 წელს ტრენინგების რაოდენობის სამიზნე ინდიკატორი 300%-ით, ხოლო გადასამზადებელი მონაწილეთა რაოდენობის სამიზნე ინდიკატორი 316%-ით შესრულდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, შშმ ქალების უფლებებზე და შშმ პირებთან კომუნიკაციის თემაზე, ჯამში 8 სასწავლო აქტივობა განხორციელდა, რომლის ფარგლებში 125 მონაწილე გადამზადდა, მათ შორის 83 პროკურორი, პროკურატურის 8 გამომძიებელი, 33 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი და 1 მენეჯერი. კერძოდ, 2023 წელს: ✓ შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ, 2 აქტივობის ფარგლებში გადამზადდა 19 პროკურორი (მათ შორის, შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე სპეციალიზებული პროკურორები) და 17 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. მონაწილეებმა შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ კვალიფიკაცია აიმაღლეს. ✓ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის ორი კურსისა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის სპეციალიზაციის კურსის ფარგლებში, მიმოიხილეს შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივისა და შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხები. გადამზადდა 58 პროკურორი და პროკურატურის 8 გამომძიებელი. ✓ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების გამოკითხვის თავისებურებების თემაზე, ტრენერთა ტრენინგი განხორციელდა. სწავლება ნეიროგანვითარების დარღვევების მქონე ბავშვების გამოკითხვის ტექნიკების და თავისებურებების საკითხებსაც მოიცავდა. გადამზადდა 5 პროკურორი და 1 მენეჯერი. ✓ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვზე მორგებული მიდგომები ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემაში“.

	სწავლების ფარგლებში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოწყვლადი და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების, მათი მახასიათებლების, შეზღუდვებისა და შესაძლებლობების საკითხებიც განიხილებოდა. გადამზადდა 16 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. ✓ ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ ყოველწლიური 35-ე საერთაშორისო კონფერენცია განხორციელდა, რომელიც შშმ პირთა მიმართ სქესობრივი ძალადობის პრევენციის საკითხებსაც მოიცავდა. კონფერენციაში 1 პროკურორი იღებდა მონაწილეობას.			
აქტივობა 1.2.2.	**სპეციალიზებული პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემდგომი გადამზადების მიზნით, შშმ პირთა, მათ შორის შშმ ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე, 2 ტრენინგის ჩატარება (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემაზე)**			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: სპეციალიზებული პროკურორებისთვის/ პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემდგომი გადამზადების მიზნით, შშმ პირთა საკითხებზე, მათ შორის, შშმ ქალთა საკითხებზე ჩატარებულია 2 ტრენინგი, სულ მცირე 30 სპეციალიზებული პროკურორის/ პროკურატურის გამომძიებლის მონაწილეობით (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემაზე)	სახელმწიფო ბიუჯეტი ადმინისტრაციული ხარჯი	სხვა დონორი ორგანიზაცია	დეფიციტი
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2023 წელს სპეციალიზებული პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების შესაძლებლობების გაძლიერების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემდგომი გადამზადების მიზნით, გაგრძელდა სასწავლო აქტივობები. შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის შშმ ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე სასწავლო აქტივობების			

	რაოდენობის სამიზნე ინდიკატორი 150%-ით, ხოლო გადასამზადებელი პროკურორების რაოდენობის სამიზნე ინდიკატორი 80%-ით შესრულდა. კერძოდ, სპეციალიზებული პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების შემდგომი გადამზადების მიზნით შშმ პირთა საკითხებზე ჩატარდა 3 ტრენინგი და გადამზადდა 24 პროკურორი: ☑ მონაწილეებმა შშმ პირთა უფლებების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის, სასამართლო გადაწყვეტილებების და მართლმსაჯულების ბარიერების, ასევე, შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების საკითხების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. ტრენინგის შედეგად 18 პროკურორი გადამზადდა. ☑ ჩატარდა ტრენინგი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების გამოკითხვის თავისებურებების თაობაზე, რომელიც ნეიროგანვითარების დარღვევების მქონე ბავშვების გამოკითხვის ტექნიკების და თავისებურებების საკითხებს მოიცავდა. ტრენინგის ფარგლებში გადამზადება 5-მა პროკურორმა გაიარა. ☑ ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ განხორციელებული წლიური 35-ე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, 1-მა პროკურორმა შშმ პირთა მიმართ სქესობრივი ძალადობის პრევენციის საკითხებზე აიმაღლა კვალიფიკაცია.	
მიზანი 2.	**შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისაგან და დისკრიმინაციისაგან დაცვა და შშმ პირთა მიმართ, მათ შორის, შშმ ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება**	
ამოცანა 2.1.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, შშმ ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა**	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022) შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 98 პირის მიმართ; დაზარალებულად ცნობილია 111 შშმ პირი;	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023):** შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი გაზრდილია; შშმ პირთა დაზარალებულად ცნობის სტატისტიკური მაჩვენებელი გაზრდილია;

	დაზარალებულად ცნობილია 56 შშმ ქალი.	შშმ ქალთა დაზარალებულად ცნობის სტატისტიკური მაჩვენებელი გაზრდილია.
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2023 წელს შშშ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების პროცესში, პროკურორმა შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო 102 პირის მიმართ. ამათგან, შშმ პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე ბრალდება წარედგინა 96 პირს, ხოლო 6 პირი განრიდდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან; დაზარალებულად ცნობილია 111 შშმ პირი, მათ შორის, 65 შშმ ქალი;	
აქტივობა 2.1.1.	**„დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებების იმპლემენტაცია**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**
	„დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებები გავრცელებულია პროკურატურის სისტემაში და მონიტორინგის ანგარიში გამოცემულია	სახელმწიფო ბიუჯეტი ადმინისტრაციული ხარჯი სხვა დეფიციტი
	პარტნიორი უწყება:	
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების	2023 წელს, შეუწყნარებლობით მოტივირებული და შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების	

<table>
<tr><td>შესახებ</td><td colspan="4">შესაბამისად, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის მომზადდა ორი სახელმძღვანელო მითითება: „შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დაზარალებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“. სახელმძღვანელო მითითებებში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის, სამართალწარმოების პროცესში პროცედურული მისადაგების გამოყენების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ეფექტიანი მონაწილეობის თაობაზე საქმისწარმოების ყველა ეტაპზე; ასევე, დისკრიმინაციის ცალკეული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის სწორად იდენტიფიცირებაზე საგამოძიებო და საპროცესო დოკუმენტებში, ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებასა და მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების საკითხზე.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.2.</td><td colspan="4">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სამუშაო შეხვედრის ჩატარება საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადვოკატებისა და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით.</td></tr>
<tr><td></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="2">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის შშმ ქალთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადვოკატების და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">პარტნიორი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო, ადვოკატთა ასოციაცია</td></tr>
</table>

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2023 წლის 12-13 ოქტომბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე, მათ შორის შშმ პირთა და შშმ ქალთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, პროკურატურის მენეჯერების და მოსამართლეების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას, ასევე ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს დისკრიმინაციის ნიშნით, მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივითა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებულ ტენდენციებზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე. ასევე, განიხილეს სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის იმსჯელეს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე სამართალწარმოების პროცესში დანერგილ მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებზე. გარდა ამისა, დისკუსია შეეხო გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმეთა განხილვის პრაქტიკულ ასპექტებს.	
ამოცანა 2.2.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, შშმ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, შშმ თემთან, საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება**	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022) საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა შშმ თემის წარმომადგენლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)** საქართველოს პროკურატურის თანამშრომლობა შშმ თემის წარმომადგენლებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან გაგრძელდება. საქართველოს პროკურატურის ვებ-

	საკონსულტაციო საბჭოსთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. პროკურატურის ვებ-გვერდზე პროაქტიულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია პროკურატურის მხრიდან შშმ პირების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.	გვერდზე განთავსდება ინფორმაცია შშმ პირების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ
	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირებისთვის	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის
	მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომია პროკურატურის 17 ადმინისტრაციული შენობა. სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის მისაწვომია პროკურატურის 9 ადმინისტრაციული შენობა.	საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა შშმ პირთათვის გაუმჯობესებულია, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დამოუკიდებლად გადაადგილების საჭიროებები.
შესრულების პროგრესი	**მეტწილად შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	საქართველოს პროკურატურა მესამე წელია აქტიურად თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან. თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით, შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოსთან 2023 წელს პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე, საზოგადოების პროაქტიული ინფორმირების მიზნით, ,,ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბის „შშმ პირთა უფლებების დაცვის“ ქვე-ტაბში, 2023 წელს განთავსდა ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. [4] ამასთან,	

[4] https://pog.gov.ge/page/default/shshm-pirTa-uflebebis-dacva

<table>
<tr><td></td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე პერიოდულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია შშმ პირების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

2023 წლის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების მისაწვდომობა შშმ პირთათვის გაუმჯობესებულია. მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომია პროკურატურის 22 სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა, სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის მისაწვდომია პროკურატურის 14 სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.1.</td><td colspan="4">სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, სამუშაო შეხვედრის ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან</td></tr>
<tr><td></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსა და შშმ თემის მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: სახალხო დამცველის აპარატი</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2023 წლის 13 ნოემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან, თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით, პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის პროკურორებმა შეხვედრის მონაწილეებს შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული გამოწვევები და შშმ</td></tr>
</table>

	მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების შედეგები წარუდგინეს. შეხვედრის მეორე ნაწილი დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. მონაწილეებმა შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის მიმართულებით განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის, ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით განხორციელებული აქტივობებისა და პროკურატურის სამომავლო გეგმების შესახებ საკითხები განიხილეს.			
აქტივობა 2.2.2.	**შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე, საჭიროებებსა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება საზოგადოების წარმომადგენლებთან**			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო:**		
	ჩატარებულია სულ მცირე ორი საინფორმაციო შეხვედრა შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე, საჭიროებებსა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე, საზოგადოების წარმომადგენლებთან.	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2023 წელს, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, შშმ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შშმ ქალებთან, ასევე შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართეს რუსთავსა და თელავში. პროკურორებმა შეხვედრაზე იმსჯელეს შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე, საჭიროებებსა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე, ამ მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე და არსებულ გამოწვევებზე. ასევე განიხილეს შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგები, ხოლო მონაწილეებმა წარადგინეს საკუთარი მოსაზრებები.			

<table>
<tr><td>**აქტივობა 2.2.3.**</td><td colspan="4">**ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ასევე შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება შშმ ქალებთან**</td></tr>
<tr><td></td><td>**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო:**</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">შშმ ქალებთან ჩატარებულია სულ მცირე ორი საინფორმაციო შეხვედრა ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:**</td></tr>
<tr><td>**შესრულების პროგრესი**</td><td colspan="4">**შესრულდა**</td></tr>
<tr><td>**ინფორმაცია შესრულების შესახებ**</td><td colspan="4">2022 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აშშ-ს საელჩოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ დაიწყო. ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია წარმოადგენს. კამპანიის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. 2023 წელს განსაკუთრებული ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და შშმ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავებას დაეთმო. პროკურორებმა შშმ ქალებთან, არასრულწლოვნებთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართეს მარნეულში, საჩხერესა და ამბროლაურში.

კამპანიის ფარგლებში, პროკურორებმა შშმ ქალებთან, არასრულწლოვნებთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან საერთო ჯამში 5 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>**აქტივობა 2.2.4.**</td><td colspan="4">**შშმ პირების მიმართ ან/და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ, ასევე შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის პროკურატურის ვებ-გვერდზე / სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნება**</td></tr>
<tr><td></td><td>**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო:**</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">შშმ პირების მიმართ ან/და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ, ასევე შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია პროკურატურის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნებულია</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:**</td></tr>
<tr><td>**შესრულების პროგრესი**</td><td colspan="4">**შესრულდა**</td></tr>
<tr><td>**ინფორმაცია შესრულების შესახებ**</td><td colspan="4">2023 წელს დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის Facebook-ის გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა პრეს-რელიზები შშმ პირთა წინააღმდეგ და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოში საქმის განხილვის შედეგების თაობაზე. ასევე შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება და საზოგადოების ინფორმირება საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულია.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4">2023 წელს პროკურატურის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის Facebook-ის გვერდზე გამოქვეყნდა პრეს-რელიზები, ფემიციდის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შშმ ქალებთან, არასრულწლოვნებთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრების შესახებ, ასევე შშმ პირთა უფლებების მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსა და შშმ თემის წარმომადგენლებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების შესახებ; განთავსდა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის ანგარიში 2023 წლის 9 თვის მონაცემებით, შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ; არასრულწლოვანი შშმ პირის მიმართ ჩადენილი მუქარის ფაქტზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ.

გარდა აღნიშნულისა, 2023 წელს შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა პრეს-რელიზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულებაზე მისაწვედომობის მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ[5].</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.5.</td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდის ადაპტირება შშმ პირებისთვის</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულების პროცესში</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი შშმ პირთათვის ადაპტირებულია ნაწილობრივ. ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურებთან. საქართველოს</td></tr>
</table>

[5] https://pog.gov.ge/news/3-dekemberi-shezRuduli-shesaZleblobis-mqone-shshm-pirTa-saerTashoriso-dRea

<table>
<tr><td></td><td colspan="4">პარლამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის მხარდაჭერით, გაეროს უნივერსიტეტის ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის ოპერაციულმა დეპარტამენტმა (UNU-EGOV) ჩაატარა კვლევა და გააანალიზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ვებ მისაწვდომობის სფეროში საქართველოში არსებული მდგომარეობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ანგარიში ითვალისწინებს შშმ პირების ვებ მისაწვდომობის სტანდარტის შესახებ რეკომენდაციებს და საჯარო და არა საჯარო ორგანიზაციების ვებ გვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ საქართველოს კანონის პროექტს. აღნიშნული სტანდარტის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს პროკურატურა აქტიურად განაგრძობს ძალისხმევას შშმ პირთათვის პროკურატურის ვებ გვერდის ადაპტირების გაუმჯობესებაზე.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.6.</td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაუმჯობესება შშმ პირთათვის; აღნიშნულ პროცესში როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დამოუკიდებლად გადაადგილების საჭიროებების გათვალისწინება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ხაშურის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემო შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით მოწყობილია, გაუმჯობესებულია; აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დამოუკიდებლად გადაადგილების საჭიროებები.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
</table>

ინფორმაცია შესრულების შესახებ	საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციული შენობა შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით გაუმჯობესებულია, ხოლო ხაშურის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემო შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით მოწყობილია, შენობის ცენტრალურ და ბავშვთა ოთახის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, რომლის გამოყენებას შეძლებენ ეტლით მოსარგებლენი. საქართველოს პროკურატურის ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული შენობების გარდა, 2023 წელს ამბროლაურის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობის ფიზიკური გარემო მოეწყო შშმ პირთა საჭიროებაზე, ახალქალაქის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის ცენტრალურ შესასვლელთან მოეწყო პანდუსი, ხოლო ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული პანდუსი გარემონტდა და კეთილმოეწყო.

დასკვნითი დებულებები

2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, საქართველოს პროკურატურამ ჯეროვნად შეასრულა ოთხი ამოცანა, რომლის ფარგლებში „სრულად“ შესრულდა 12 აქტივობა, ხოლო „შესრულების პროცესშია“ 1 აქტივობა.

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია შშმ პირების თანასწორუფლებიანი და სრულფასოვანი მონაწილეობა მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე. საქართველოს პროკურატურა განაგრძობს ძალისხმევას შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ეფექტიანი სისხლის სამართალწარმოების უზრუნველყოფის მიზნით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ დადგენილია ვალდებულება, 2021–2035 წლების ერთიანი სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, შეიმუშაონ და დაამტკიცონ შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმები, მათთვის სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების მითითებით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი განაგრძობს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულებას და გენერალურ პროკურორს დასამტკიცებლად წარუდგენს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას“ 2024 წლისთვის. აღნიშნული სამოქმედო გეგმა საჯაროდ განთავსდება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.